ხუთშაბათი, 23 აგვისტო 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 184

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებზე პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისრი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

ვალერიან გუნიას რედაქტორობით და გამომცემლობით

ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი

26 აგვისტოს გამოვა **ნიშადური** კარიკატურებით

პროგრამა

2) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარედ 3) ფელეტონები ლექსად თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

**ფასი:** წლით 5 მან. 1/2 წლით 3 მან., **ცალკე ნომერი 10 კაპ.**

**ხელის მოწერა** ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო ჟურნალის ბედ იღბალი გამოურკვეველია.

საჭირონი არიან

**პროვინციიდან პირიანი აგენტები და შხამიანი თანამშრომლები**

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია**

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа. რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ. № 9 ვერაზე.

---

## ტფილისის წვრილ ვაჭართა საყურადღებოდ

**კანტორა** ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოებისა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე (დვორცოვი) ტფ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში № 153. კანტორა ღიაა ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 დან ორ საათამდე და საღამოს 6 დან 8 საათამდე.

ვისაც საწევრო ბილეთი არა აქვს მიღებული, ვთხოვთ, მობრძანდნენ და მიიღონ. მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ მერკვილაძე. (3—256—1)

---

ექიმი

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თგ.)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—166)

---

ექიმი

**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად 6 მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—23)

---

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ქალაქ ტფილისში მცხოვრები

**კატო გაბრიელის ასული როგავა**

აცხადებს მკითხველთა საყურადღებოდ, რომ იგი ხსნის ქალების სამ კლასიან

**პროფესიონალურ ჭრა-კერვის სკოლას.**

სწავლა იწყება ოცდა ხუთ აგვისტოდან. მსურველს შეუძლია პირადი მოლაპარაკება ათ საათიდან ორ საათამდის. ადრესი: მეათე ნაწილი, გოგოლევსკის ქუჩაზე, № 53. (5—254—3)

---

**დ**ირექტორი საკომერციო სასწავლებლისა, გამგე **მანთაშევის სავაჭრო სკოლისა**, აცხადებს, რომ სკოლა მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში და მისაღები საკონკურსო გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თხოვნის შემოტანა და საჭირო ცნობების მიღება სკოლის შესახებ შეიძლება კომერციულ სასწავლებლის კანცელარიაში. (10—231—9)

---

ელექტროთერაპიული

**კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—16)

---

დაიბეჭდა და მალე გამოვა **ივ. გომელაურის-მიერ** შედგენილი სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

**მეორე** გამოცემა შევსებული და შესწორებულია. (5—6—5)

---

ფოთის საბუხჰალტერო

**კურსები**

**კ. გიგინეიშვილისა.**

(წელიწადი მერვე)

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა იწყება 1 ენკენისთვიდან. მსურველთ პროგრამმები გაეგზავნებათ მუქთად. ერთი წლის და ორი თვის განმავლობაში როგორც კაცი, ისე ქალი ღებულობს კურსებზე საფუძვლიანათ სავაჭრო განათლებას როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს გერმანელ და ინგლისელ სავაჭრო სკოლების სისტემით. (8—6.—8)

---

**26** აგვისტოს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება.**

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. მოხსენება და ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1904/97 განმავლობაში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის მოხსენება საზოგადოების წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლისა გამო.
4. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი. (4—3)

---

**ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე** აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები შვიდიდან ცხრა წლამდის, დაიწყება 10 სექტემბრიდან; ამავე რიცხვიდან დაიწყობა ხელმეორე გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა. (8—6.—3)

---

## პროფესიანალური სასწავლებელი

ა. მირიანოვისა.

23 მარიამობისთვიდან ენკენისთვის 20-მდე მიიღება მოწაფეები დილის 8-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ვასწავლით ყოველგვარ ხელსაქმეს და ჭრას. საგნებსაც ვასწავლით.

ადრესი: 1 თუმანოვის ქუჩა, № 23, სახლი ქუთ. სათ.-აზნ. ბანკისა. (2—261—1)

---

**გამოვიდა ახალი წიგნი:**

„მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა, სამმოსლოს ალწერის სანიმუშო პროგრამით“

ა. ჭიჭინაძისა და ისყიდება ქუთაისში ბ ნ ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ჟურნალ გაზეთების კონტორაში „კოლხიდაში“, ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და დაბა ხონში ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში. ფასი ერთი აბაზი. (3—6.—1)

---

## ტფილისი, 23 აგვისტო

სხვა საყურადღებო საკითხთა შორის შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა განიხილა საკითხი საკოლონიო პოლიტიკის შესახებ. ჯერ დაწვრილებითი ანგარიში ამ კრებისა ხელთ არა გვაქვს, მაგრამ უკვე მიღებული ცნობებიც კი საინტერესო და საგულისხმიერო სურათს გვიშლიან თვალწინ.

განხილვის უმთავრეს მომენტს შეადგენდა პრინციპიალური მხარე საკითხისა, ე. ი., სოციალისტთა კონგრესს უნდა გამოეთქვა თავისი პრინციპიალური შეხედულება საკოლონიო პოლიტიკაზე: მომხრეა თუ არა თანამედროვე სახელმწიფოების საკოლონიო პოლიტიკისა. ვინც იცის, რას ნიშნავს და რას წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა საკოლონიო პოლიტიკა, ის უეჭველად მოელოდა, რომ სოციალისტები ერთხმად და ენერგიულად დაჰგმობდნენ იმ ურცხვობას, იმ საშინელებას და უსამართლობას, რომელსაც სახელად ეწოდება „საკოლონიო პოლიტიკა“. მაგრამ ნამდვილად კონგრესმა დიდი ყოყმანი გამოიჩინა და ბოლოს ვაი-ვაგლახით, სულ მცირე უმრავლესობით (127 წინააღმდეგ 108 ხმისა) მიიღო კომისიის უმცირესობის აზრი—დაგმობა კოლონიური პოლიტიკისა და ისიც ფრიად ორჭოფულის რეზოლიუციით გამოთქვა.

სოციალისტების მხრით, ცოტაარ ამგვარ იყოს, საოცარია ყოყმანი და ორჭოფობა საკითხში. თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა საკოლონიო პოლიტიკა სხვა არა არის-რა, როგორც შეუბრალებელი განადგურება დაპყრობილ ქვეყანათა. კაპიტალიზმის ცუდი მხარეები დაუბრკოლებლად იჩენენ თავს და მოქმედებენ „უცხო ქვეყნებში“. იქ მათ „ძლევამოსილს სვლელობას“ არ ზღუდავს არც სამუშაო დროს შემცირება, არც მუშათა ორგანიზაციები, არც საზოგადოებრივი აზრი,—არაფერი ისეთი, რაც შინ ცოტა არ იყოს ამცირებს მის გამანადგურებელ მხარეს. დაპყრობილ კოლონიებში მეტროპოლიის კაპიტალისტები ჰფიქრობენ მხოლოდ სწრაფ გამდიდრებაზე და ამიტომ უწყალოდ ანადგურებენ ბუნებას და იმონავებენ მკვიდრთ. სახლში მათ მაღას კიდევ ლაგმავს სხვა და სხვა კანონი, მაგალითად, ტყის დაცვისა, მადნების წესიერად შემუშავებისა და სხვა; სახლში მათ გაუმაძღრობას წინ ეღობება კიდევ მუშათა მფარველი კანონმდებლობა, საზოგადოებრივ აზრის კანტროლი და სხვა. გარედ კი ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს და შტიკების დახმარებით ავრცელებენ თავის ბატონობას. ვინ ჩამოსთვლის და ვინ აღწერს, რამდენი უსამართლობა, რამდენი ბოროტება და რამდენი სისაძაგლე ხდება კოლონიებში, როგორ ვერაგულად და ბარბაროსულად იქცევიან „განათლებული კაპიტალისტები“ და არა-მკითხე კოლონიზატორები დაპყრობილ ქვეყნებში!..

მერე რა საბუთით იცავდნენ კოლონიალურ პოლიტიკის მომხრენი თავის პოზიციას? „სოციალისტები უნდა ეცადნენ, რომ მთელი დედა-მიწა კულტურულად დამუშავებული იყოსო“, ამბობდნენ ერთნი. მაგრამ, რა მსხვერპლით და რა ფასით ხდება ეს დამუშავება? ხშირად მთელი ხალხი იღუპება, როცა უეცრად მის ცხოვრებაში შემოდის გამანადგურებელი კაპიტალიზმი. წესიერი ექსპლოატაცია რომ იყოს ბუნებისა და ადგილობრივ მკვიდრთაც თანდათანის ხელის შეწყობით აჩვევდნენ ახალ ცხოვრებას, მაშინ კიდევ შეიძლებოდა კულტურის გავრცელებაზე ლაპარაკი. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ევროპიელი კაპიტალისტები არაფრად არ აგდებენ მკვიდრთა მომავალს და ბარბაროსულის სისწრაფით უნდათ გამოიყენონ დაპყრობილ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეც და ხალხის სამუშაო ძალაც. მეორენი ამბობდნენ, სოციალისტები უნდა ჩაერიონ საკოლონიო პოლიტიკაში და უნდა აიძულონ ბურჟუაზია, ლმობიერი და კაცთმოყვარე პოლიტიკა აწარმოვოს კოლონიებში. მაგრამ ამათ სამართლიანად უპასუხა ბრაკემ, რომ უტოპია იქნება თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მოვთხოვოთ ასეთ პოლიტიკის წარმოება დაპყრობილ ქვეყნებში, კაპიტალისტების ინტერესი მოითხოვს, რომ დამონავებული უთუოდ ნახევარ უფლებანია იყოს და არ შეეცილოს ქვეყნის ექსპლოატაციაში. გარდა ამისა, ჩვენ არ გვესმის ასეთი საბუთი. სოციალისტებს ვინ დაუშლის ამ მხრით ებრძოლონ ბურჟუაზიას და ამისთვის ჩაერიონ საკოლონიო პოლიტიკის საქმეში? განა პრინციპალური უარყოფა კოლონიალურ პოლიტიკისა ნებას არ მისცემდა სოციალისტებს ამ საქმეში ჩარევისას?.. მესამენი იმ აზრს იცავდნენ, რომ კოლონიებიდან საჭირო მასალა მოდის დასამუშავებლად და ამის მეოხებით მეტროპოლიის ინდუსტრია ძლიერდება, მუშებს ხელფასი ემატება და სხვა. მაგრამ ის-კი ავიწყდებათ ამ აზრის გამომთქმელთ, რომ ახალ-ახალ ქვეყნების დაპყრობა და იქ მუშათა არმიის ნაწილების გადაყვანა აგვიანებს მუშათა განთავისუფლების მომენტს ევროპაში...

საზოგადოთ, საკოლონიო პოლიტიკის დამცველთა არგუმენტაციაში ჩვენ ვერ ვიხილეთ ვერაფერი ისეთი, რაც სოციალისტურ მოძღვრების თვალთა-ხედვით შესაწყნარებელი იყოს. ნაძალადევი მოსაზრებანი ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ დიდ სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატიის მთავარ წარმომადგენელთ სურდათ ოპორტუნისტული კომპრომისი შეექმნათ,—კომპრომისი ხელსაყრელი იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთათვის, რომელნიც საკოლონიო პოლიტიკას აწარმოებენ. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, დავიდი და ბერნშტეინი (უკანასკნელი იქამდისაც-კი მისულა, რომ დაუწყია პრივილეგიურ და არა პრივილეგიურ ერების, მაღალ და დაბალ რასების არსებობის მტკიცება!); ასე იქცეოდა მაკდონალდი, რომელიც ქებით იხსენიებდა ინგლისის საკოლონიო პოლიტიკას და ამავე დროს ივიწყებდა სხვა სახელმწიფოთა ბარბაროსულს მოქცევას კოლონიებში და სხვანი. მხოლოდ პატარა ერების სოციალისტები და, დიდ სახელმწიფოდან, რუსეთის, საფრანგეთის და ამერიკის წარმომადგენელნი ყოფილან ენერგიული წინააღმდეგნი საკოლონიო ავანტიურებისა. ესეც დამახასიათებელი გარემოებაა...

საბოლოოდ ჩვენი აზრის გამოთქმა ამ საგანზე გადავდვათ იმ დრომდე, სანამ დაწვრილებითი ანგარიში მოგვივა; მანამდის-კი უნდა ვთქვათ, რომ თუმცა კონგრესმა ბოლოს და ბოლოს წინააღმდეგობა გამოუცხადა საკოლონიო პოლიტიკას, მისი ყოყმანი და უცნაური კამათი მაინც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ.

---

## ახალი ამბავი

✦ **სამხედრო-საოლქო სამართალი.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს სიღნაღის მაზრის სოფ. ტიბაანის მცხოვრები მიხეილ ხატიაშვილი. ხატიაშვილს ჰბრალდება ხირსის მონასტრის წინამძღვრის გაძარცვა და სხვა დანაშაულობის ჩადენა.

✦ **დაჭრილ-დახოცილნი განჯაში.** განჯაში 20 აგვისტოს, როგორც ვწერდით, ყაზახისთვის ვიღაცას თოფი უსროლია. ამის შემდეგ ყაზახებს სროლა აუტეხნიათ და მოუკლავთ და დაუჭრიათ 11 კაცი. ამ ამბავმა ძალიან დააფრთხო განჯელი სომხები და ბევრნი კიდეც ჩამოსულან ტფილისში.

✦ **ექსარხოსის ჩამოსვლა.** საქართველოს ექსარხოსს ნიკონს ტფილისში ამ კვირის დამლევს მოელიან.

✦ **შუამდგომლობის შეუწყნარებლობა.** ერევნის მოედანზე ფოსტის გაცარცვის შემდეგ, მეეტლეებს აეკრძალათ ამ მოედანზე დგომა. მეეტლეების სტაროსტამ ეხლა შუამდგომლობა აღძრა გენ.-გუბერნატორის წინაშე, რომ მეეტლეებს ხელ ახლა მიეცეთ ნება ამ მოედანზე დგომისა, მაგრამ მან შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

✦ **გადამდები სენი.** ქალაქში ამ ბოლო დროს გახშირდა სხვა და სხვა გადამდები სენი. ბარაკებში ამ ჟამად წევს 29 ყვავილიანი, 43 ქუნთრუშიანი და სხ.

✦ **ხოლერა განჯაში.** განჯაშიაც გაჩენილა ხოლერა. რუსულ გაზეთების სიტყვით, იქ ორი კაცი გამხდარა ავად.

✦ **მომღერალი სარაჯიშვილი.** როგორც ვიცით, მომღერალი სარაჯიშვილი ამ ჟამად იტალიაშია. გაზ. „ზაკ.“ მილანიდან სწერენ, რომ სარაჯიშვილს, ცნობილ მომღერლის შალიაპინის რეკომენდაციით, დაუნიშნეს დებიუტი (საზოგადოების დაუსწრებლად) მილანის უპირველეს თეატრს „La Scala“-ში. დირექცია, დირიჟორები და შალიაპინი აღტაცებაში მოსულან სარაჯიშვილის ხმისაგან, მაგრამ ურჩევიათ განაგრძოს მეცადინეობა. სამი თვის შემდეგ სარაჯიშვილი საჯაროდ გამოვა ხსენებულ თეატრში.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება ტფილისელი არ. არუთინოვი—აღმოაჩნდა რევოლვერი. ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა ვლ. ტოროსაშვილს, ლ. იუზიაკს, ფარნაოზ ქანელიძეს და დომენტი ხუნდაძეს.

✦ **მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად.** როგორც ვიცით, მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად მოგროვილი ფული სასინოდო კონტორის სახაზინოში ... გაფლანგა. კონტორას სინოდისათვის მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად ფული უთხოვნია. დაუდგენიათ ამ საქმისათვის კანტორას მიეცეს ბესარაბიის მონასტრებიდან 32,000 მანეთი.

✦ **საჩუქარი.** მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრისათვის ხელმწიფეს თავისი კაბინეტიდან 1500 მანეთი უჩუქებია.

✦ **ჯამაგირის მიუღებლობა.** ტფ. ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთ აგვისტოს თვის ჯამაგირი ჯერ არ მიუღიათ და არც იციან, როდის მიიღებენ.

✦ **ტფ. სემინარია.** ტფ. სასულიერო სემინარიის პირველ და მეორე კლასში პარალელურ განყოფილებებს ხსნიან. გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიამ ამ საქმისათვის ყოველ წელს 5000 მანეთი უნდა გაიღოს.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 21 აგვისტოს გაჩხრიკეს წიგნის მაღაზია გალუსტ გალუსტიანცისა. გალუსტიანცი დააპატიმრეს.

✦ **ოჩამჩირელების შუამდგომლობა.** ტფილისში ჩამოვიდა ოჩამჩირელების დეპუტაცია, რომელსაც შუამდგომლობა აღუძრავს ოჩამჩირეში საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის საბოტანიკო ბაღის ბოტანიკოსა. გ. ფომინი მომავალ თვეს დორპატში აპირებს წასვლას, სადაც დაიცავს დისერტაციას მაგისტრის ხარისხის მისაღებად. დისერტაციას აზრად აქვს კავკასიის მცენარეულობა. ფომინი დაბრუნდება ტფილისს და ახლად გახსნილ უმაღლეს კურსებზე ლექციების კითხვას შეუდგება.

✦ ხობის მონასტერში (ზუგდიდის მაზრაში) ამ ჟამად სასჯელს იხდის გურია სამეგრელოს ეპარხიის უფროსის განკარგულებით მღ. ვასილ დუმბაძე. როგორც გავიგეთ, მღ. დუმბაძე სახადით გამხდარა ავად. ახლა მონასტრის ადმინისტრაცია იარმუკის საქმეშია გართული და დასჯილ მღვდელზე ზრუნვის თავი არავის ექნება. აქლოს არც ექიმია, არც წამალი.

✦ 22 აგვისტოს დაბრუნდა სინამთის მონასტრიდან სომხის მთავარ ეპისკოპოსი გარეგინი.

✦ 21 აგვისტოს ნავთლუღის გზაზე მიდიოდნენ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი მოლლა ისმაილ იბრაჰიმ-ოღლი, ირა ოდჯარა-ვერდიოღლი და სამარა-მუსა-ოღლი. იმათ თავს დაესხნენ ვიღაც უცნობი შეიარაღებული კაცები, წაართვეს 301 მანეთი და მიიმალნენ.

✦ 21 აგვისტოს სპარსეთის ქვეშევრდომს კარაპეტ ადამიანცს დაღესტანის ქუჩაზე, სახლში შეუვარდა 4 შეიარაღებული კაცი. კამოდიდან 100 მანეთი ამოიღეს და მიიმალნენ.

✦ 30 აგვისტოს საღამოთი ფოსტის ქუჩის ბოლოში წაიჩხუბნენ პეტრუზ პეტრუზოვი და არუთიუნ არუთიუნოვი, პეტრუზოვმა არუთინოვი დანით მუცელში დასჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 21 აგვისტოს გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებ მარიამ ინგოროვის ქალს, როცა უკანასკნელი შინ არ იყო, მოჰპარეს ოქროს სამაჯური, ღირებული 45 მანეთად. ინგოროვისამ ეჭვი მიიტანა დარია მარკოვზე, რომელიც დააპატიმრეს.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: ამ ცოტა ხანში დაიკარგა გამხდარი მაღალი ტანის ყმაწვილი 18-19 წლისა, რაფიელ ივანე ძე თევზაძე. მნახველთ ვთხოვთ, დაგვდონ ვალად და გვაცნობონ საქმის ვითარება, ადრესი: ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 199, ნოე თევზაძე.

✦ 21 აგვისტოს არშაკ სტეფანოვის, დავით ბარნოვის და ზაქარია ტერტეროვის სახლიდან უცნობებმა მოიპარეს 2 ვერცხლის ქამარი, ღირებული 71 მანეთად და სხვა ნივთები 35 მანეთისა. ქამრები და ნივთების ერთი ნაწილი პოლიციამ აღმოაჩინა.

# პრესსა

—:—

„მოსკოვ. ვედომ.“-ი არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ მუშები გადმოიბირონ და სოციალისტების გავლენას მოაშორონ. „ჭეშმარიტ რუსთა“ პოლიტიკურ იდეების გავრცელებას ახლა ეკონომიურ მეცნიერების ქადაგებაც მიაყოლეს. მაგრამ დახედეთ, რას და როგორ უქადაგებენ:

გაფიცვები, უმთავრესად საყოველთაო გაფიცვა უკვე კარგა ხანია აღიარებულია მუშა ხალხისთვის მავნებლად, ხოლო მის ოჯახისა და სამშობლოს წინაშე ბოროტ-მოქმედებად. მავნებლად სთვლიან გაფიცვას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მუშათა კავშირები და თვით სოციალისტური პარტიებიც-კი. ცნობილი სოციალისტები—ბებელი გერმანიაში და ჟორესი საფრანგეთში მთელის თავის ძალღონით იბრძვიან გაფიცვების წინააღმდეგ, რადგან უვარგის საშუალებათ მიაჩნიათ იგი კაპიტალსა და შრომის შორის ბრძოლაში: გაფიცვა მიზანს არ აღწევს და თან უფრო ამწვავებს კაპიტალისტთა და მუშათა ურთიერთობასაო. ბებელი და ჟორესი ცხარედ ჰკიცხავენ რუს სოციალისტებს, რომელთაც ჰსურთ უბრალო იარაღად გადააქციონ მუშები თავის პოლიტიკურ პლანების აღსასრულებლად.

სიცრუეც ამისთანა უნდა! მაგრამ საექვოა, რომ ასეთმა „ეკონომიურმა მეცნიერებამ“ ვინმე შეიყვანოს შეცდომაში...

* * *

„რუსსკ. ვედ.“-ი ამტკიცებენ, რომ მესამე სათათბიროც, როგორიც არ უნდა იქმნას მისი შედგენილობა, დაიცავს პირველ და მეორე სათათბიროების აგრარულს პოზიციასო:

სამინისტრო შეუდრეკელად ანხორციელებს თავის აგრარულ გეგმას და მომავალი სათათბიროც გვერდს ვერ აუხვევს ამ საქმეს. პირველი და მეორე სათათბიროც ხსნას ხედავდნენ იძულებით გამოსყიდვაში კერძო მამულებისა. მიჰბაძავს თუ არა მესამე სათათბიროც თავის წინაჭორბედთ—ამაზე პასუხის გაცემა ჯერჯეროზით ძნელია, მაგრამ ერთი რამ არის აღსანიშნავი: სამინისტროს აგრარული პოლიტიკა ყველა თავად-აზნაურთათვის როდი არის ხელსაყრელი. სოფლის მეურნეობა იმ პირობებში, რომელშიაც დღეს არიან და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება, ბევრ თავად-აზნაურისთვის აღარ შეიძლება: გლეხთა უკმაყოფილება და მღელვარება მტრულ ბანაკად ხდის სოფელს თავად-აზნაურობისათვის და ასეთ ბანაკში მეურნეობა არც სასარგებლოა, არც სასიამოვნო. ამიტომ უმეტესობა იძულებული გახდება ლიკვიდაციას მიჰმართოს, ე. ი. მთავრობის პლანის თანახმად, მამული სახელმწიფო საგლეხო ბანკს გადასცეს გლეხებზე გასასყიდათ. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ამ ოპერაციით სარგებლობა მსხვილ თავად-აზნაურობას შეუძლია; ბანკი მსხვილ მემამულეთ ეხმარება მიწა-წყლის გაყიდვაში და იმათ სამსახურსაც ძლივს აუდის. როგორ-და მოიცლის შუათანა და წვრილ მემამულეთათვის? უკანასკნელნი ბოლოს და ბოლოს თვითონვე მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ისევ იძულებითი გამოსყიდვა სჯობს და რომ მაშინ მაინც არ დარჩება მშრალზე თავად-აზნაურთა უმრავლესობა. ამ მოსაზრებათა ძალით ადვილად მოსალოდნელია, რომ მესამე სათათბიროც მომხრე იქნება იძულებით გამოსყიდვის პრინციპისა და წინააღუდგება მთავრობის აგრარულს პოლიტიკას.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**ს. ქვაყუდე** (აბაშის საზოგადოება). ჩვენ სოფელში ამ ნაირი ამბავი მოხდა. ერთ მედუქნეს, გვარად დორიას, ჯიბიდან დაეკარგა 71 მანეთი. ეს ფული უპოვნია 15 წლის შანთაძეს. დორიამ, გაიგო-რა ეს ამბავი, ფული მოითხოვა. ყმაწვილმა უარი სთქვა. ამის შემდეგ მიმართეს დედას, რომელმაც განაცხადა, რომ არ ვიცი, მართლა იპოვნა თუ არა ჩემმა შვილმა ფული, მაგრამ ეტყობ რაღაც არა ჩვეულებრივ ფუცურშიაო. ქალმა კიდევაც სთქვა, გადავიხდი ფულსო, მაგრამ მერე ამაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მამასახლისმა გამოიძია საქმე და რაკი დარწმუნდა ფული შანთაძეს წაღებუ დიაო, დატუქსა და შეაშინა იგი გაბაწვრითა და ბოქაულთან გაგზავნით. მამასახლისმა ამით გაათავა თავისი გამოძიება, ხოლო თვით ყმაწვილი დორია, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ქუთაისში წასულა მაზრის უფროსთან, რომლის განკარგულებითაც დააპატიმრეს 18 კაცი და მათ შორის მამასახლისიც ვერ გავიგეთ, რა დანაშაულობისათვის დააპატიმრეს ეს კაცები.

ჩვენი საზოგადოება უკანასკნელ ხანებში სტრაჟნიკების თინების ასპარეზად გადაიქცა. მათ ისეთი თვალთმაქცობა გამოიჩინეს, რომ ქ. ნიკოლაევის „ოხრანი“ განყოფილების მოხელეებს გადააჭარბეს. როცა ხალხის ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ ჩვეულებრივმა საშუალებამ ვერ გასჭრა, სტრაჟნიკებმა შემდეგ ხერხს მიმართეს: 7 აგვისტოს ისინი, უბრალო ტანისამოსში გამოწყობილნი, მივიდნენ ს. ნაგორძმის მცხოვრებლებთან ანტონ და ბეგლარ არდიშვილებთან და ისე დაუწყეს ლაპარაკი, თითქო ორგანიზაციის წევრები ყოფილიყვნენ. თითო-ოროლა გაუფთხილებელი სიტყვა რომ წამოაროშვინეს არდიშვილებს, მამასახლისი დაიბარეს, თავიანთი ვინაობა უთხრეს და ვითარცა მთავრობის წინააღმდეგი ხალხი, დაარბიეს. ამ გვარივე საქმე უყვეს იმ სტეფანე თარგამაძეს, რომელიც ამ ორი თვის წინად სამგზავრო მატარებელში გასძარცვეს და ამას გარდა მატარებლიდან გადმოვარდნის გამო დღესაც დასახიჩრებული და დაავადებულია.

საზოგადოდ, ჩვენი მხრის სტრაჟნიკები, ვიდრის ნებართვით, მეტად თავხედად იქცევიან და ხალხს ლამის მოთმინების ფიალა აევსოს. კაცი რომ უკვირდება აქაურ პოლიციის მოქმედებას, ძალაუნებურად აგონდება ის, რაც შორაპნის მაზრაში ხდებოდა მერკვილაძის დევნის დროს იმ განსხვავებით, რომ ზემოიმერეთში მერკვილაძე მოქმედებდა და აქ—წითელიშვილი. **აქაური.**

—

**ალაგირი** (თერგის ოლქი). არ იქმნა და არ მოეღო ბოლო ავ-კაცობას და ცარცვა-გლეჯას. თითქმის წელიწადი სრულდებოდა, რაც ყაჩაღობა შეწყდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ისევ იჩინა თავი. მცარცველებმა ბინა დაიდგეს ალაგირიდან ექვსი ვერსის მანძილზე, ტყეში იგდისის ბოლო რიცხვებში რამდენსამე კაცს დახვდნენ გზაში, წაართვეს ცხენები და დახოცეს კაცები. რამდენისამე დღის შემდეგ თორმეტი შეიარაღებული კაცი დახვდა ალაგირიდან მიმავალ ქალებს და კაცებს. ამათში ერთი სტრაჟნიკი-კი იყო. როცა ყაჩაღებმა ცხენების წართმევა მოინდომეს, სტრაჟნიკმა თოფს სტაცა ხელი და უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ დედამ არ დაანება. ყაჩაღებმა ბევრი არ იფიქრეს და ხელში შემოაკლეს დედას შვილი. მასთან მოჰკლეს ორიც სხვა. უყოვლივე ეს აცნობეს ალაგირის ბოქაულს, რომელმაც რამდენიმე შეიარაღებული კაცი გაჰგზავნა მათ საძებნად, მაგრამ ვერა გაიგეს რა. მეორე დღეს ეს ყაჩაღები ენახა მომუშავე კოტე ბუზემაშვილს. მან აცნობა პოლიციას და თითქმისაც მთემჩნდა დილის 11 საათი იქნებოდა, რომ ალაგირში ასტეხა ზარის რეკა. ხალხი, წინა წლის დაშინებული, შიშის ზარმა აიტაცა და ერთი მეორეს ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო. ბოლოს გაიგეს, რომ ყაჩაღების წინააღმდეგ ჰგზავნიდნენ კაცებს. გაგზავნეს 50 ყაზახ-რუსი, 16 კაცი ტყის მცველი და რამდენიმე კერძო კაცი. მათ გაჰყვათ ბოქაული თავის თანაშემწით და ტყის გამგე. როცა მივიდნენ დანიშნულს ადგილას, კოტეს ჰკითხეს, სად ან რა ადგას ნახა მან ისინი. კოტემ უოვლივე უამბო და თანაც ურჩია, რომ ზომები ეხმარათ ყაჩაღების შესაპყრობად. მან კარგად იცოდა ტყის გზები და ადგილები, რადგან განთქმული მონადირე აყო მთელ ალაგირში, მაგრამ იმათ არ დაიჯერეს მისი რჩევა და პირდაპირ მიიტანეს იერიში. პირველად სამჯერ გაისროლა კოტემ და დახოცა ყაჩაღების ცხენები, მაგრამ იგი მალე გამოასალმა წუთისოფელს იქვე შეუმჩნევლად დგომმა ყაჩაღმა. მასთან მოჰკლეს ბოქაულის თანაშემწე ყანთიევი და ერთი სტრაჟნიკი. ამით გათავდა იმ დღის ომი. ყაჩაღთაგანი არის ვინმე მოკლული თუ არა, არავინ იცის, [illegible] მას შემდეგ ამ ყაჩაღებმა მოჰკლეს იქვე მუშავე ქალი და კაცი [illegible] შიოდ ვეღარ მიდიოდა. ეხლა უოვლედ სოფლიდან დააყენეს რვა-რვა კაცი, რომელნიც მინდვრად დადიან დღისით.

აქეთ ამ ჟამად კარგი ამინდებია. მოსავალიც კარგია. პური უკვე მომკეს.

როგორც მკითხველებმა იციან, ალაგირში არსებობს ქართული სამრევლო სკოლა. შარშან მთელი წელიწადი მოუცდათ სწავლა ბავშვებს, რადგან მასწავლებელი არა ჰყავდათ. თუმცა იყო ერთ თვეს ბ-ნი დუდუშაური, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, ნება არა ჰქონდა აქ მასწავლებლობისა და სხვაგან გადაიყვანეს. ჩვენ დავრჩით უმასწავლებლოდ. წელს იმედია თავის დროზედ გამოგვიგზავნიან მასწავლებელს.

**პ. მეტრეველი.**

—

**ს. ამაშუკეთი** (შორაპნის მაზრა). ჩვენი სოფლისთანა უპატრონო სოფელი მეორე არ მოიძებნება მთელს იმერეთში. კვირა არ გავა ისე, რომ ვინმეს არ დასტაცონ შინაური საქონელი, არ გატეხონ დუქანი. წინად აკლებული გყავდით ყაჩაღებს, რომელნიც გადმოუვლათ ქართლიდან თვითონ ჩვენებურს ხულიგანებს და სცარცვავდნენ შეძლებულ მცხოვრებლებს. ახლა ამ უკანასკნელს დროს გაჩნდნენ შანტაჟისტები, რომელნიც ზოგიერთს მოსახლე ამაშუკელს უგზავნიან მუქარის წერილებს, რომ ამა და ამ ადგას გამოგზავნე ამდენი და ამდენი ფული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილი მოგელისო. ასეთი მუქარის წერილები მოუვიდათ აზნაურთ ნარიმან ამაშუკელს, ირაკლი ამაშუკელს, არჩილ ამაშუკელს და სხვებს ისეთებს, რომელნიც ამ ქესატობის დროს ოჯახში გასანათებლად ნავთიც ვერ უყიდიათ. ამ დასახელებულებმა ეჭვით იციან, ვინც უნდა იყოს ეს ვაჟბატონები, მაგრამ ვერაფერს ვერ ბედავენ შიშით და არიან გაჩუმებულები...

# როგორ მოექცა ქუთაისის სას. სასწავლებლის გამგეობა თავისს მოწაფეებს?

არსებულ კანონის ძალით, ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობამ სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულ მოწაფეთაგან ისინი მიიღო პირველს კლასში გამოუცდელად, ვინც ამის ღირსად ცნობილ იქმნენ ამ სასწავლებელთა გამგეობის მიერ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას თავისი ასეთი უფლება დავიწყებული ჰქონია. მან კურს დამთავრებულ

# ფელეტონი

## ინგლისის პარლამენტის ცხოვრებიდან

(დიონეოსი)

V *)

**პალატის დათხოვნა.**

პარლამენტი, როგორც ცხოველი არსება; რაც დრო მიდის, ბერდება. მთავრობა, რომელსაც დიდ ხანს შერჩენია ძალა, დუნდება. და აი იბადება განახლების საჭიროება. დგება პალატის დათხოვნის დრო.

1688 წ. რევოლიუციამდე პარლამენტის დათხოვნა შეიძლებოდა ან მეფის ბრძანებით, ან იმის გადაცვალების გამო. კონსტიტუციის მაშინდელი თეორია იმ აზრისა იყო, რომ რაკი პარლამენტი წარმოადგენს ისეთს საბჭოს, რომელსაც მეფე იწვევს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საერთო მუშაობისათვის, ამიტომ მეფეს უფლება აქვს უნდა დაიცვას საბჭო, უნდა დაითხოვოს, როგორც მისი ნება იქნება. ამიტომაც იყო, რომ პარლამენტი დათხოვნილ უნდა ყოფილიყო მეფის გადაცვალების შემდეგ. ეხლა კონსტიტუციის ეს თეორია შესამჩნევად შეცვლილია ცალკე ნაწერის სტატუტებით და ცალკე უწერის ჩვეულებებით.

ეხლა მეფეს აღარა აქვს გავლენა პარლამენტის დათხოვნაზე; არც მისი სიკვდილი იწვევს ახალს არჩევანს. კონსერვატიული სამინისტრო არ დასთხოვნია სამსახურს დედოფალ ვიქტორიის სიკვდილის შემდეგ და სამ წელიწადს მართავდა კიდევ სახელმწიფოს. ეხლა პარლამენტს შეუძლიან ან თავისის ბუნებრივის სიკვდილით მოკვდეს, როდესაც შვიდის წლის ვადა გაუვა, ან შეიძლება დათხოვნილ იქმნას მანიფესტით, რომელსაც აცხადებს მეფე, **თანახმად მინისტრების რჩევისა.**

რევოლიუციამდე პარლამენტის დათხოვნა-მოწვევის შესახებ მეფე მხოლოდ ერთ კანონს ემორჩილებოდა, რომელიც ითხოვდა, რომ დათხოვნა და მოწვევა სამ წელიწადზე მეტით არ ყოფილიყო დაშორებული ერთი მეორეს.

საგულისხმოა ამ კანონის გაჩენა. 1629 წ. ინგლისელმა ვაჭრებმა უარი სთქვეს იმ განსაკუთრებულ გადასახადების გადახდაზე, რომელიც საზოგადოებათა დაუკითხავად თავის პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შემოიღო მეფე კარლოს პირველმა. ერთმა კომმონერმა სერ ჯონ ელლიოტმა პროტესტი განაცხადა პარლამენტში უკანონო გადასახადის წინააღმდეგ. რადგან პარლამენტის მდივანმა ვერ გაბედა პროტესტის წაკითხვა, იგი წაიკითხა თვით სერ ჯონმა. თავმჯდომარემ უარი სთქვა ელლიოტის პროტესტის კანხილვაზე, განაცხადა, მეფის ბრძანება მაქვს სხდომა [illegible]. მაგრამ ორმა კომმონერმა, ხოლლსმა და ვალენტაინმა ძალად დასვეს თავმჯდომარე სავარძელზე და არ გაუშვეს იმ დრომდე, სანამ პალატამ არ მიიღო პროტესტი ახდილის ხმის ჩამოტარებით. კარლოსი იმ დროს ლორდთა პალატაში იყო. გაიგო თუ არა, რა ხდებოდა ქვედა პალატაში, უბძანა უფროსს ბოქაულს გაეტანა „კომბალი“, ე. ი. ქვედა პალატის სკიპტრა, ურომლისოდაც არ შეიძლება სხდომის გაგრძელება. ამრიგად, დაიშალა ისტორიული სხდომა. რამდენისამე დღის შემდეგ, 10 მარტს 1629 წ. პარლამენტი დათხოვნილ იქმნა. ხელახლად მოწვეულ იყო მხოლოდ 11 წლის შემდეგ, ე. ი. 1640 წ. ეს იყო შესანიშნავი „ხანგრძელი პარლამენტი“, რომელმაც 20 წელიწადს გასძლო. ამ პარლამენტის ერთი ნაწილი, იმ დროინდელ მოუხეშელ სახელწოდებით „კურტუმო“ Rump, 1635 წ. გაჰყარა კრომველმა ურჩობისათვის. შვიდის წლის შემდეგ ხანგრძლივის პარლამენტის უკანასკნელი წევრები, სულ 42 კომმონერი, შეგროვდნენ და შეადგინეს ის კონვენტი, რომელმაც დააბრუნა კარლოს II. და მხოლოდ ახალმა მეფემ დაითხოვა ბოლოს პარლამენტი. ჯერ კიდევ 1641 წ. ხანგრძლივმა პარლამენტმა დააწესა კანონი, რომელიც უკრძალავდა მეფეს პარლამენტის დათხოვნას მხოლოდ თავისის ნებით. იგივე კანონი ამბობს, რომ პალატის დათხოვნიდან ახალს არჩევნებამდე სამ წელიწადზე მეტმა არ უნდა გაიაროსო. ინგლისელ ხალხისათვის სამის წლის განმავლობაში არჩეულ წარმომადგენლების არ ყოლა მეტად გრძელი ვადა იყო, მაგრამ კარლოს მეორე სხვანაირად ფიქრობდა. მისთვის ეს ვადა მეტად მოკლე იყო. 1648 წლის რევოლიუციამ ვერაფერი ვერ ასწავლა მეფეს. ის რევოლიუცია მიაჩნდა უბრალო, რამდენისამე ორგულ ქვეშევრდომისაგან ჩადენილ ამბოხებად. 1664 წ. კარლოს მეორემ გააუქმა 1641 წ. კანონი. მან მოიწვია თავისი საკუთარი ხანგრძლივი პარლამენტი, რომელმაც 17 წელიწადს გასძლო. და როდესაც ბოლოს 1680 წ. პალატა დათხოვნილ იქმნა, ახალი პარლამენტი მოიწვიეს მხოლოდ ოთხის წლის შემდეგ.

ეხლა დიდი ხანია მოწესრიგებული აქვთ ინგლისელებს ამგვარი საკითხები. მანიფესტში, რომლითაც ცხადდება პალატის დათხოვნა, ცხადდება აგრეთვე დაუყონებლივი ახალი არჩევნები.

1852 წ. კანონით ვადა ორ პარლამენტს შუა განსაზღვრულია 35 დღით. ამ რიგად, სამის წლის ვადა, რომელსაც 1841 კანონი იძლეოდა, ეხლა ხუთ კვირაზე ჩამოვიდა.

რევოლიუციამდე პარლამენტი არსებობდა იმ დრომდე, სანამ მეფე არ დაითხოვდა, 2, 5 და 17 წელიწადსაც კი. პარლამენტის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო პირდაპირ იმის მასიამოვნებლობაზე. სტიუარტები მხოლოდ მორჩილ პალატას ურიგდებოდნენ. 1894 წ., როდესაც სამეფო გვარი შეიცვალა, შეტანილ იქმნა კანონი საპარლამენტო ვადის სამის წლით განსაზღვრის შესახებ. ეს კანონი არსებობდა გეორგ პირველის ტახტზე ასვლამდის, როდესაც სამის წლის მაგიერ შვიდის წლის ვადა იყო შემოღებული. გეორგის ტახტზე ასვლის დროს მთელს სახელმწიფოში დიდი აგიტაცია იყო გამართული გაძევებულ სამეფო გვარის სასარგებლოდ. სტიუარტებს მრავალი აგენტი ჰყავდათ ირლანდიასა და შოტლანდიაში. 1715 წ. იაკობ მეორეს შვილი ეცადა კიდეც შოტლანდიის ნაპირზე გადმოსვლას; მაგრამ, რაკი მომავალ წელს არჩევნები უნდა მომხდარიყო, პარლამენტი შიშობდა, იაკობიტებმა იმ დროისთვის არ მოამზადონ თავიანთ აგენტების შემწეობით ამომრჩევლებიო (ნუ დაივიწყებთ, რომ იმ დროს ხალხის უმრავლესობა არ იღებდა მონაწილეობას არჩევნებში და რომ ქვედა პალატის სამი მეოთხედი ადგილი მემამულეთ ეკუთვნოდა.). ამრიგად, შიში იყო, ახალი პარლამენტი იაკობიტებს არ ჩავარდნოდათ ხელში, რადგან ისინი გააუქმებდნენ ყველა იმ თავისუფლებას, რომელიც რევოლიუციის შემწეობით იყო შეძენილი, და ისევ სტიუარტებს მოიწვევდნენ. ამ განსაცდელის ასაცდენად პარლამენტმა 1716 წ. სამის წლის ვადა შვიდ წლისად გახადა. გეორგ მესამის დროს საპარლამენტო წესში შეტანილ იქმნა ახალი ცვლილებანი. გაუქმდა ის ჩვეულება, რომ მეფის სიკვდილი პარლამენტის დათხოვნას იწვევს. დაწესდა, რომ ახალი მეფის გამეფების შემდეგ ძველი პარლამენტი რჩება კიდევ ექვსის თვით, თუ დათხოვნილი არ იყო მანამდე. კანონის ძალით, მეფე რომ პალატის დათხოვნის შემდეგ მომკვდარიყო და იმ დროს ახალი არჩეული არ ყოფილიყო, ძველი პალატა იკრიბებოდა ისევ ექვსის თვით. გეორგ მესამის ყველა ეს კანონი ეხლა დავიწყებულია. 1868 წ. კანონმა გააუქმა ყველა ძველი კანონი არჩევნების შესახებ და ეხლა პარლამენტის სიცოცხლე სრულებით დამოუკიდებელია მეფის სიცოცხლე-სიკვდილისაგან. კომმონერები ფიცს იძლევიან მხოლოდ ახალის მეფის ერთგულებაზე. კანონით პარლამენტი ირჩევა შვიდის წლით; ხოლო ჩვეულების თანახმად სამინისტრო რჩება სამსახურში მხოლოდ ხუთ წელიწადს. ინგლისში არა ყოფილა ჯერ ისეთი სამინისტრო, რომელსაც სრული შვიდი წელიწადი გაეძლოს და თავისით გადამდგარიყოს. კაბინეტები ემხობოდნენ კომმონერებისაგან უნდობლობის გამოცხადების გამო. ზოგ კაბინეტს მიუღწევია ექვს წლამდე და, დარწმუნებულა რა თავის დაძაბუნებაში, გადამდგარა თავისით. მაგრამ იმისი მაგალითი კი არ ყოფილა ჯერ, რომ კაბინეტს სრული ვადა მოეთავებინოს და ამიტომ ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცევა ასეთი სამინისტრო. მე-19 საუკ. ყველაზე მოკლე პარლამენტი, 15 დეკ. 1806 წ. — 29 აპრ. 1807 წ. იყო (4 თვე და 14 დღე), ხოლო ყველაზე ხანგრძლივი 23 აპრილიდან 1820 წ.—2 ივნისამდე 1826 წ. (6 წელ. 1 თვე და 7 დღე.) ლიბერალების სამინისტრო 1885 წ. მხოლოდ 5 თვის და 14 დღის გან-

*) იხ. „ისარი“ № 140.

ოწაფეებს დაურიგა მოწმობანი და არც უთხრა რამ და არც სემინარიის გამგეობას გამოუგზავნა ცნობები მოწაფეთა შესახებ. სემინარიის გამგეობამ ამ ზაფხულს მიიღო თხოვნები და მოწმობანი ქუთათურ მოსწავლეთაგან, რომელთაც საგნებში და ყოფაქცევაში მშვენიერი ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ მოწმობებში, როგორც ეს სავალდებულოა, აღნიშნული არ იყო, ღირსად სცნობდა თუ არა გამგეობა ამა თუ იმ მოწაფეს სემინარიის პირველ კლასში გამოუცდელად შესვლისა. იმავე გამგეობამ სემინარიას არც ცალკე მოწერილობით შეატყობინა ესევე გარემოება. კანონის ძალით სემინარიის გამგეობას უნდა გამოეცადა ის მოწაფენი, რომელთაც სემინარიაში შესვლის ღირსი ცნობა აღნიშნული არ ჰქონდათ მოწმობებში, თუმც ყოფაქცევით და სწავლით ამისი ღირსნი იყვნენ. სემინარიის გამგეობა ორ გზით შეეკითხა ქუთაისის სასწავლებლის გამგეობას, მაგრამ უკანასკნელისგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო. ამავე დროს სემინარიის მთავრობა შეეკითხა სინოდს, რომლისგან მიიღო პასუხად, რომ გამოეცადა სემინარიაში შესვლის ღირსად არ ცნობილი მოწაფენი მხოლოდ იმ საგნებში რომლებშიაც „სამი" ჰქონდათ მოწმობებში. ამის მიხედვით სემინარიის გამგეობამ მიიღო რვა მოწაფე, რომელთ შესახებაც სდუმდა სას. სასწავლებლის გამგეობა და რომელნიც თავიანთ ცოდნის მიხედვით ამის ღირსნი იყვნენ.

პირველს კლასში შესასვლელს გამოცდაზე უნდა მისულიყო 52 მოწაფე; გამოცხადდა მხოლოდ 21. არ მოსულა 31 მოწაფე, რომელთა უმრავლესობაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან არის. მათთვის არაფერი არ უქვამს გამგეობას, თუ როდის უნდა გამოცხადებულიყვნენ სემინარიაში, რომელმაც თითოეულ სასწავლებლის გამგეობას თავის დროზე ყველაფერი აცნობა. გადაწყვეტილია პირველ კლასის ორ პარალელურ განყოფილების გახსნა, რის შემდეგაც პირველს კლასში 150 მოწაფე იქნება. 53 მოწაფე გამოუცდელად არის მიღებული, 21 გამოცდაშია ზოგი ერთს და ზოგი ორსა და სამს საგანში. ადგილი კიდევ ბლომად არის. 31 მოწაფე არსადა სჩანს. ეს ქუთაისის სას. სასწავლებლის გამგეობის ბრალია.

სასაცილო ისაა, რომ ამ ორს დღეში ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ქუთაისის სას. სასწავლებლის გამგეობამ აცნობა სემინარიას, რომ ის ყველა მოწაფეს, რომლებმაც კი კურსი დაამთავრა, სემინარიაში შესვლის ღირსად სცნობს. ასევე დაარწმუნა მან მოწაფენი გამოცდათა გათავების შემდეგ და უმეტესი მათგანი, დარწმუნებული, რომ სემინარიაში მიიღებენ გამოუცდელად, დღესაც სოფელში სტკბება წმინდა ჰაერით. ქუთაისიდან მხოლოდ ორი მოწაფე გამოცხადდა ჯერხანად გამოცდაზე.

**მეგობარი.**

# რუსეთი

**✦ პარტიების ცხოვრებიდან.** ვარშავაში ხელშეკრულად გადაექცნენ ერთმანეთს ოქტომბრისტები და ჭეშმარიტი რუსები. ოქტომბრისტები შეიძლება კადეტებს შეუერთდნენ.

ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ვარშავის განყოფილებას ვიღაცისაგან საჩუქრად მიუღია 250,000 მანეთი არჩევნებისთვის. ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მთავარ საბჭოს შეუტყობინებია თავის პროვინციალურ განყოფილებებისთვის: თვალყური ადევნეთ ყველა მოხელეთ და თუ ვინმე მათგანს დაატყოთ კადეტობა ან საზოგადოთ მემარცხენობა, შეგვატყობინეთ და ჩვენ აქედან მოვახერხებთ მის დათხოვნასაო.

პეტერბურგელ სოც. დემოკ. „მენშევიკების" რაიონულმა კრებამ ერთხმად აღიარა, რომ პეტერბურგელი მუშები საოცარ გულგრილობას იჩენენ მომავალ არჩევნებისადმი. ამავე კრებამ დაადგინა, რომ პარტია უნდა ეცადოს და მუშათა შორის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოაცოცხლოს.

**✦ საოცარი ბრძანება** პეტროკოვის გენ. გუბერნატორმა ბრძანება მისცა მექარხნეთა და სხვებსაც, რომ მათ არ გაბედონ და მუშებს გაფიცვის დროს ჯამაგირი არ აძლიონ.

**✦ გაძლიერებულ დაცვის წესები.** გადაწყვეტილია კიდევ განაგრძონ გაძლიერებული და არა ჩვეულებრივი წესები იმ ადგილებში, სადაც მათ ვადა უთავდებათ მომავალ ორი თვის განმავლობაში.

**✦ პოლ. სოც. პარტ. დაპატიმრება.** ამას წინად ვარშავაში დააპატიმრეს 39 წევრი პოლონეთის სოც. პარტიის კომიტეტისა. ამის შესახებ შემდეგ საინტერესო ამბავს იტყობინებიან: კომიტეტმა შეიტყო, რომ ერთი წევრი მებრძოლ ორგანიზაციისა ექსპროპრიატორობას ეწევა. გამოძიებამ აღმოჩინა, რომ ეს ამბავი მართალი იყო. კომიტეტმა ეს კაცი პარტიულ სამართალში მისცა. სამართლომ გადაუწყვიტა მას 48 საათის განმავლობაში საზღვარ-გარედ გადასახლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლა. ექსპროპრიატორს არც წასვლა უნდოდა და არც სიკვდილი. ისევ ჯაშუშობა არჩია და მეორე დღესვე დააჭერინა 39 წევრი კომიტეტისა.

მოგილევში 3 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა 14 წევრი სოც.-რევოლ. პარტიის საოლქო კონფერენციისა.

**გადასახლებულნი.** უკანასკნელ ხანებში რუსეთის მთავრობამ რამდენიმე ასი-ათასი კაცი შეიტყუა ციმბირში. ზოგს ადგილები დაურიგა, მაგრამ 75,000 კაცი უადგილოდ და უმიწაწყლოდ დარჩა. „რეჩს" სწერენ აკმოლინის ოლქიდან, რომ გადმოსახლებულთა და მკვიდრთა შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა, რადგან გადმოსახლებულნი მკვიდრ „ტუზემცებს" მიწას და ქონებას ართმევენ და ხშირად მთელ სოფლებსაც იკლებენო.

**✦ რუსეთის საგარეო ვაჭრობა.** წრეულს, 7 თვის განმავლობაში რუსეთს უცხოეთში გაუტანია 467 მილიონ მანეთის საქონელი, შარშან კი ამავე ხნის განმავლობაში გატანილი იყო 534 მილ. მანეთისა, ე. ი. 67 მილ. მანეთით მეტი წრევანდელზე. ამავე ხნის განმავლობაში შარშან უცხოეთიდან რუსეთში შემოიტანეს 347 მილ. მანეთის საქონელი, წრეულს კი მხოლოდ 324 მილ. მანეთისა, ე. ი. 23 მილ. მან ნაკლები. წრეულს 132 მილ. მანეთის საქონელი მეტი გაიტანა რუსეთმა, ვიდრე შემოიტანა, შარშან 194 მილ. მანეთისა, შარშანწინ 237 მილიონ მანეთისა. ამას შედეგად მოჰყვა რუსეთის ფულზე ფასის დაცემა უცხოეთში.

**✦ სტუდენტთა კონგრესი.** სტუდენტთა კონგრესის მოსაწვევად არჩეულმა საორგანიზაციო კომისიამ უკვე მიიღო პასუხი სტუდენტთა სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან. კონგრესს დაესწრებიან პეტერბურგის ყველა უმაღლეს და ზოგიერთა პროვინციალურ სასწავლებლების წარმომადგენელნი. კომისიას ეკითხებიან, შეიძლება თუ არა, რომ კონგრესს პროფესორთა კავშირების წარმომადგენელნიც დაესწრნენო. კომისია ამ საქმის გადაწყვეტას კონგრესს მიანდობს. კონგრეს დაესწრება 5 წარმომადგენელი სტუდენტთა ყოველ ცენტრალურ ორგანოდან, რომელთაც საერთოდ ერთი გადამწყვეტი ხმა ექნებათ. კერძო უმაღლეს სასწავლებლებს წარმომადგენლობა არ ექნებათ. არჩევნები უკვე დაიწყო. კონგრესი დაიწყება ენკენისთვის დამდეგს.

**✦ ლესგაფტის კურსების ბედ-იღბალი.** სამინისტროები ერთმანეთს ეკითხებიან, შეიძლება თუ არა ლესგაფტის კურსების განახლებაო. შინაგან საქმეთა სამინისტრო ორნაირ გზას ადგა: პოლიციის დეპარტამენტი ამტკიცებს, რომ კურსები რევოლიუციონერთა ბუდედ გადიქცევაო, ამიტომ იგი წინააღმდეგია მისი გახსნისა. თვითონ სამინისტროს წარმომადგენელი და სხვებიც მომხრენი არიან კურსების გახსნისა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კურსებზე სასტიკი ზედამხედველობა დააწესოს თვითონ ლესგაფტმა და სამინისტროს წარმომადგენელსაც უფლება ჰქონდეს თვალ ყური ადევნოს მის ცხოვრებას.

**✦ ეკონომიური ბრძოლა ებრაელებთან.** ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მთავარ საბჭოს შეუმუშავებია მთელი პროექტი და გეგმა ებრაელებთან ეკონომიურ ბრძოლის ორგანიზაციისა. ჯერ-ჯერობით კავშირს რამდენიმე მაღაზია დაუარსებია. ვილნისისა და ჩრდილო-დასავლეთ გუბერნიებში კავშირს უკისრია საზხედრო უწყებისთვის ყოველ გვარ მასალისა და საქონლის მიწოდება; სარატოვის გუბერნიაში გაუხსნია სამი სახელოსნო სასწავლებელი და სხ. საბჭომ, დიდის კამათის შემდეგ, დაადგინა: 1) ბოიკოტი გამოეცხადოს ებრაელთა ხელოსნობას; 2) ბოიკოტი გამოეცხადოს ებრაელ ექიმებსა და ვექილებს; 3) ხერსონში დაუყოვნებლივ დაარსდეს ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ბანკი.

# უცხოეთი

**ეგვიპტე.** ავტონომისტური მოძრაობა ეგვიპტელ არაბთა შორის თანდათან ძლიერდება. ამას წინად არაბულ გაზეთ „ალმინდარ"-ის რედაქტორმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის და აღნიშნა სურვილი და პროგრამა არაბებისა ეგვიპტელთა ეროვნულ პარტია უმთავრესად შემდეგ რეფორმებს თხოულობს: 1) პირველდაწყებით სკოლებში თავისუფალი და სავალდებულო სწავლა უნდა იყოს; 2) ყველა სასწავლებელში არაბულ ენას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს; 3) ეგვიპტისთვის უნდა შემუშავდეს ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ყველა საქმეების გადაწყვეტის შესახებ ეგვიპტელებისა მიანდობს ევვიპტის საკანონმდებლო დაწესებულებას (სეიმს); 4) ევროპიელ მოხელეთა ადგილები ეგვიპტელებს უნდა დაეთმოს, ეგვიპტის ქალაქებს თვით-მმართველობა მიეცეს და სხ. ეგვიპტის ეროვნული პარტიის პროგრამის თანახმად უნდა დაარსდეს ორი პალატა, სადაც კრებები საჯარო იქნება. ქედივს ეკარგება „ვეტოს" უფლება, თუ ორივე პალატამ ესა თუ ის დადგენილება მიიღო ორი მესამედის უმეტესობით, უცხოელებს საარჩევნო უფლება არ ექნებათ და სხ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, შევუდექით რაჭის მაზრის სოფ. ბაჯში ბიბლიოთეკის დაარსებას, რასაც ხალხიც ძრიელ მონდომებულია, მაგრამ უფულობა ხელს გვიშლის, ამიტომ ვთხოვთ ყველა შეგნებულ მოქალაქეებს და მუშას შეძლებისამებრ გაუწიონ დახმარება ჩვენს აგენტებს, რომელთაც შესაფერი ბეჭდიანი ჩეკები მიეცემათ. ამ ფულით უნდა ვიყიდოთ ბიბლიოთეკისთვის სახლი და მოწყობილობა. ამასთან ვთხოვთ წიგნის მაღაზიების პატრონთ, შემოგვწირონ თავიანთი გამოცემანი. ყოველიე შემოწირულება გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

საქმის მოთავენი:

**ვიქტორ ჭყონიძე, მალაქია ქართველიშვილი, ევგენი დვალი, ქრისტე ჭყონიძე, ნ. შუბლაძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აგვისტო

**რ უ ს ე თ შ ი.**

**კიევი.** ცეცხლმა გაანადგურა რკინის გზის დროებითი სახალხო სადგური და რამდენიმე პაკჰაუზი. სადგურის შენობა ჯერ დამთავრებული არ იყო. რამდენიმე ვაგონიც დაიწვა. მიზეზი არ იციან.

**ტომსკი.** სატეხნოლოგო ინსტიტუტის ბუხჰალტერს თავს დაეცნენ. ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. ბოროტ-მოქმედები გაიქცნენ. ფული უკლებადაა.

**ოდესა.** საპოლიციო ნაწილში ყუმბარისაგან უვაზმდად მოკლული პორუჩიკი ყაზაროვი დიდის ამბით დაასაფლავეს.

პროხოროვის ქუჩაზე უცნობთა ბრბომ სროლა ასტეხა და 15 კაცი დასჭრა. დაჭრილთა უმრავლესობა ებრაელები არიან. სროლა ორმხრივი იყო. ერთი დაჭრილი გარდაიცვალა საავადმყოფოში. ქუჩაში დადის გაძლიერებული პატრული. პროხოროვის ქუჩაზე შეიპყრეს შეიარაღებულ ახალგაზდების მთელი ჯგუფი. ჩხრეკავენ.

**ნოვოჩერკასკი.** შემოდგომაზე იხსნება ახალი ტიპის 7 კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი. სწავლა დამთავრებულთ აგრონომის წოდება მიენიჭებათ.

**ჩერნიგოვი.** გლუხოვის მაზრაში აღმოაჩინეს ავაზაკთა ბრბო., შეპყრობის დროს ორი ავაზაკი მოჰკლეს. ერთი შეიპყრეს. იპოვნეს ქაღალდები, იარაღი და სხვა ნივთები. ნივთები აღმოჩნდა მოკლულის გენერლების ძმ. გუკოვებისა.

**ეკატერინოსლავი.** დასჭრეს მკერდში უბნის ზედამხედველი. ერთი მსროლელი შეიპყრეს.

**მინსკი.** ტყვია-წამლის საწყობის მახლობლად ვიღაც უცნობებმა სროლა ასტეხეს. დარაჯები უვნებლად გადარჩნენ. არე-მარეს ალყა შემოარტყეს და გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს.

დააპატიმრეს ნოქართა გაფიცვის ხელმძღვანელი კომიტეტი. იპოვნეს დოკუმენტები.

**იაროსლავი.** თავი მოიკლა საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ მუსინ-პუშკინმა.

**ხუდჟა.** საერობო კრებაზე აირჩიეს 20 მემარჯვენე. წინანდელი პროგრესისტები ყველანი გაშავეს.

**ლოძი.** ბაბიანიცის ელექტრონის მატარებელი გაძარცვეს. კონდუქტორებს წაართვეს ფული, მგზავრებს ფული და საათები.

კაიზენ პრეხტის სადებავ ფაბრიკის მუშებმა არ უჩვენეს ის ამხანაგები, რომელ-

---

მაღლობაში მარ ავდა სამეფოს. მისი გადადგომის მიზეზი იყო ირლანდიის თვითმართველობის შესახებ კანონპროექტი. სოლსბერის კონსერვატიული სამინისტრო დაბრუნებულ იქნა 1900 წ. „საჯარისკაცო არჩევნების" შემწეობით და შემდეგ კიდევ ხუთი წელიწადი იცოცხლა (ბალფურის კაბინეტი) 1905 წ. დეკემბრამდე.

კანონის პირდაპირის აზრით, მეფეს ნება აქვს, როდესაც უნდა, თავისის მინისტრების დაუკითხავად დაითხოვოს პარლამენტი. ნამდვილად კი მეფე მხოლოდ პრემიერის სიტყვით ითხოვს პალატას. მეფემ რომ მოინდომოს ეხლა კანონის პირდაპირის აზრის თანახმად მოქცევა, ე. ი. თავისის უფლების განხორციელება, ინგლისში ასეთს მოქმედებას კონსტიტუციის დიდ დარღვევად ჩასთვლიან. უკანასკნელი მაგალითი იმისა, რომ მეფემ თავისის ნებით დაითხოვა პარლამენტი, მოხდა 1834 წ. სამინისტრო პარტიის მოთავე ქვედა პალატაში (ლორდი ოლტორპი) გადაყვანილ იქნა მაშინ თავის მამის სიკვდილის შემდეგ ზედა პალატაში. ვილჰელმ მეოთხემ ეს მიზეზად გამოიყენა და დაითხოვა პარლამენტი. ეხლა კი აღარავის არა აქვს იმისი შიში, რომ მეფე ისარგებლებს თავისის უპირატესობით და ახალ არჩევნებს თავის მინისტრების დაუკითხავად დანიშნავს.

ეხლა პალატის დათხოვნა მოულოდნელად აღარ ხდება. ჯერ გამოცხადდება ხოლმე სხდომათა გადადება. რამდენისამე დღის შემდეგ ოფიციალურ London Gazette-ში ისტამბება პარლამენტის დათხოვნის შესახებ მანიფესტი „ჩვენს საიდუმლო საბჭოსთან შეთანხმებით,—როგორც სწერია თვით მანიფესტში, ნამდვილად კი ერთად-ერთი მრჩეველი მეფისა არიან კაბინეტის წევრები. გეორგების მეფობამდის მეფეები ესწრებოდნენ ხანდახან საიდუმლო საბჭოს სხდომებს. გეორგ მეორე არ ესწრებოდა, რადგან ინგლისური არ ესმოდა. მას შემდეგ აღარც დანარჩენ მეფეებს უშვებდნენ საბჭოში, თუმცა შემდეგმა მეფეებმა ისწავლეს ინგლისური. ეხლა მეფე იღებს მონაწილეობას კაბინეტის იმ სხდომაში, რომელშიაც უნდა გადასწყდეს პალატის დათხოვნა. ზემოდ ნათქვამი იყო, რომ დათხოვნამდე სხდომათა გადადება ცხადდება. ამ გამოცხადებას დიდი ცერემონიები მოჰყვება ხოლმე. თეორიულად წარმოდგენილია, რომ ყველაფერი მეფის ნებით ხდება; მეფე ნიშნავს ხუთ „კომმისსარს" ცერემონიის ასასრულებლად. ცერემონია ხდება ზედა პალატაში, ტახტის წინაშე, რომლის საფეხურთან სხდებიან კომმისსარები. კომმისარებს ხავერდის წითელი მოსასხამები აქვთ და გძელი თეთრი პარიკები. სამეფო ბოქაულს ჰგზავნიან ქვედა პალატაში სპიკერის დასაბარებლად. სპიკერის დასაბარებლად. სპიკერი მოდის კომმონერების თანხლებით. სპიკერს მოუძღვის მისი იარაღის მტვირთველი, მაგრამ „უკომბლოდ" (mace). კომმონერები დგებიან სპილენძის გძლად დადებულ ჯოხთან, რომლითაც გადაღობილია ზედა პალატის შესავალი და ლორდი-კანცლერი უცხადებს მათ, მეფემ ინება და დაამტკიცა ქვედა პალატაში შემუშავებული კანონ-პროექტებიო. ამრიგად, აღინუსხება პალატის მთელი მოქმედება. თუმცა პალატის დათხოვნა გადაწყვეტილია კომმონერების წინაშე პასუხის მგებელის კაბინეტის მიერ და თუმცა ყველამ იცის, დათხოვნა გადაწყვეტილიაო, მაგრამ კომმონერები ხმას არ იღებენ, რადგან წარმოდგენილია, ვითომ ეს ამბავი სამეფო საიდუმლოებას შეადგენდეს. ამ 15—20 წლის წინად ამგვარ შემთხვევაში სპიკერი, მოისმენდა რა ლორდკანცლერის სიტყვას, წაიკითხავდა დაწერილ სიტყვას, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო პარლამენტის ყველა მოქმედება, ლორდ-კანცლერი თავის მხრივ წაიკითხავდა მეფის სიტყვას, რომელსაც კაბინეტი ადგენდა. მეფე მადლობას ეუბნებოდა „ერთგულ კომმონერებს" მათ მიერ დანიშნულ ფულისათვის და ულოცავდა ახალ საყურადღებო და საჭირო კანონების შემოღებას. ამავე სიტყვას სპიკერი ქვედა პალატაში კითხულობდა შემდეგ. ამ ბოლო დროს ყველა ეს დავიწყებას არის მიცემული. 1905 წ. პალატა ისე დაითხოვეს, რომ არც სპიკერს უქვამს თავისი „რეზიუმე" (მოკლედ აღნუსხვა), არც სამეფო სიტყვა წაკითხულა. ინგლისის საპარლამენტო ისტორიაში არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პალატა კომმონერების წინააღმდეგობის მიუხედავად ყოფილა დათხოვნილი. ასე მოხდა, მაგალითად, 1653 წ. 20 აპრილს, როდესაც კრომველლმა მიმართა Rump parliament'z უმაგალითო სიტყვით: „თქვენ აღარ წარმოადგენთ პარლამენტს,—სთქვა ლორდმა-პროტექტორმა:—ზოგი თქვენგანი ლოთია, ზოგი გარყვნილი, სამღვთო მცნებათა ახდილად მგმობი და ცოდვაში ჩავარდნილი. ზოგი თქვენგანი მექრთამეა და ზოგი—მიმდგომი. როგორ შეგიძლიანთ რჩეულ ხალხის პარლამენტი უწოდოთ თქვენს თავს? გაეთრიეთ!" და კრომველლმა აიღო სპიკერის სკიპტრა და ვადასცა ჯარის-კაცს.

მეორე არა ნაკლებად საგულისხმიერო მაგალითი პარლამენტის კომმონერების სურვილის წინააღმდეგ დათხოვნისა მოხდა 1830 წ. ვიგებმა, რომელნიც წარმოადგენდნენ მაშინ სამინისტრო პარტიას, ინგლისელ საზოგადოების მოთხოვნის თანახმად, შეიტანეს რეფორმების შესახებ კანონპროექტი. ამ პროექტის წინააღმდეგი იყვნენ მეფე და მთელი მემამულეთა პარტია. 23 მარტს, ღამის სამ საათზე, სასტიკის წინააღმდეგობის შემდეგ პროექტი მეორე წაკითხვის შემდეგ მიღებულ იქმნა ერთის ხმის უმეტესობით (303—302). პროექტი გადასცეს კომისიაში, სადაც მისი მოწინააღმდეგენი, რაც ძალი ჰქონდათ, აძნელებდნენ და აგვიანებდნენ. მემამულენი ყვიროდნენ, ინგლისი დაიღუპება თუ საარჩევნო კანონი დემოკრატიულად შეიცვალაო. „ჩვენ შევქმენით ბრიტანიის კულტურა და ჩვენვე ვართ მისი პასუხის მგებელნიო"—ამბობდნენ ისინი. პარტიას მრავალი მეგობარი ჰყავდა სასახლეში და ამ მეგობრების მეოხებით მეფემ მოინდომა პალატის დათხოვნა. ლორდ-კანცლერი ურჩევდა მეფეს გაებედნა და თითონ გამოეცხადებინა პალატის დათხოვნა. „ქვედა პალატა,—ამბობს თავის ნაწერებში გრევილი,—მეფის სურვილის შესახებ ამბავმა საშინლად აღელვა.—სერ რეჯინალდ ვივაიენი გაშმაგებული ამხედრდა მთავრობის წინააღმდეგ. უფრო მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა პილმა. მან უნიჭობა, უგუნურება და სიბრმავე უკიჟინა მთავრობას. ამ დროს ზარბაზნების ხმამ აუწყა პალატას მეფის მოსვლა, პილმა განაგრძო თავისი სიტყვა მაშინაც კი, როდესაც სამეფო ბოქაულმა მიიპატიჟა კომმონერები ზედა პალატაში. კომმონერები გაიძახოდნენ, დადგა დრო Jermeut du fon de paume'-ის მსგავსი ფიცი დავდოთო. ჰაერში რევოლიუციის სუნი იდგა. კომმონერებმა მინდობილობა მისცეს უორნკლიფს, პროტესტი გამოეცხადებინა მეფისთვის პალატის დათხოვნის გამო. მინისტრები წინააღუდგნენ ამას; მაგრამ პროტესტი მაინც იქნა შეტანილი პარლამენტის ოქმებში. ლორდები იძახდნენ, არ დავთმობთ, რომ კომმონერებმა ზედა პალატაში სიტყვები წარმოსთქვანო. ლორდ ლონდონდერრი საძაგლე მათრახს იქნევდა და იმდენად გაცხარდა, რომ ხელები უნდა დაეკავებინათ მისთვის. ამ დროს მეფე მეზობელ ზალაში შემოსულიყო კიდეც. ხმაურობა მოესმა. „რა ამბავია"?—იკითხა ვილჰემ მეოთხემ. —თქვენო ბრწყინვალებავ, უპასუხა ლორდ-კანცლერმა, ლორდები კამათობენ. მეფის შემოსვლაზე ხმაურობა შესწყდა. კომმონერებმა წყნარად მოისმინეს პალატის დათხოვნა. მაგრამ სამეფოში მაშინვე ისეთი მოძრაობა დაიწყო, რომ რეფორმების შესახებ პროექტი არა თუ შეიტანეს ხელახლა ერთის წლის შემდეგ, არამედ უდიდესის ხმის უმეტესობით მიიღეს კიდეც. ვერც ლორდებმა გაჰბედეს მისი უარყოფა. რაც შეეხება ვილჰელმ მეოთხეს, მან მოისურვა თავის უფლების მოხმარება: უნდოდა ამ პროექტისათვის თავისი veto დაედო, მაგრამ პირველმა მინისტრმა მოაგონა ხალხის აღელვება და გააფრთხილა, რეფორმის უარყოფა ისეთს მღელვარებას გამოიწვევს, რომელიც ტახტს დაამხობსო.

მოისმენს რა ზედაპალატაში სამეფო კომმისსარებისაგან, სხდომები გადადებულიაო, სპიკერი უკანასკნელად ბრუნდება ქვედაპალატაში, აქ თავს იხრის თავის სავარძლის წინაშე და აღარა ჯდება შიგ, არამედ მის გვერდით დგება და აცხადებს, დადგა prorogation-იო. შემდეგ ხელს ართმევს კომმონერებს.

—სახლში ვინ მიდის?—იძახის ჩვეულებრივს სიტყვებს ბოქაული.

—სახლში ვინ მიდის?—იმეორებს შემდეგ ოთახში მორიგი პოლიციელი.

პალატა იცლება. ხუთი კვირის შემდეგ ხალხი თავის განაჩენს იტყვის და გაგზავნის სამაგიეროდ ახალ კანონმდებლებს ახალის მინდობილობით.

**ივ. ნუცუბიძე(?).**

ნიც საქონელს აფუჭებენ, ამიტომ ფაბრიკის ადმინისტრაციამ მუშებს ანგარიში გაუსწორა.

ბერეზინის ქუჩაზე მოჰკლეს პარტიულ ნიადაგზე ერთი მუშა, დასჭრეს ცეცხლის მქრობელი რაზმელი.

10 კაცი თავს დაესხა ებრაელეაის სასაფლაოს დარაჯის სახლს, მძიმედ დასჭრეს დარაჯი, მისი თანაშემწე და ქალი.

**ლიბავა**. ლატიშთა 1905 წლის მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელი ერნსტროლაუ, ჯერ საზღვარ გარედ გაიქცა, შემდეგ ოდესაში დააპატიმრეს. ახლახან გროზინის მახლობლად ის 18 დრაგუნს მიჰყავდა თურმე. გაქცევა განუზრახავს, მაგრამ დრაგუნებს მოუკლავთ.

**ჩერნიგოვი**. სადგურის სვესსის გაძარცვის ამბავი ტყუილია. გამომიებამ შინაური ემმაკობა აღმოაჩინა. კონტორშჩიკმა გაქცევა მოინდომა, მაგრამ შეიპყრეს.

**ცაგანროგი**. რამდენიმე შეიარაღებულმა კაცმა გაძარცა ლუი დრეიფუსის საექსპორტო კონტორა.

**სტავროპოლი**. დაბა გრინევის ტყეში იმალება ათი კაცი ტურგაის ოლქიდან გამოქცეული. ისინი საზოგადოების დადგენილებით ტურგაის ოლქში გადაასახლეს. ახლა იმუქრებიან, თუ უკანვე არ მიგვიღებთ, ვისაც შევხვდებით, დავხოცავთო. მათ დასაჭერად ზომებია მიღებული.

**ბალტა**. ბალტის მაზრაში გერშუნოვის ქალის ახალ-შენის მცხოვრებთ თავს დაესხა ათი შეიაუაღებული კაცი. მძიმედ დასჭრეს 5 კაცი. ავაზაკები დააპატიმრეს სადგურ ბირზულასთან. მათ უპოვნეს რევოლვერები. დაბა ბერშადის მახლობლად შეიპყრეს 7 კაცისაგან შემდგარი ავაზაკთა ბრბო, უნახეს რევოლვერები.

**სტავროპოლი**. ამოხოცეს საუფლისწულო მამულის სკვირის მოიჯარადრის ოჯახობა—ექვსი სულისაგან შემდგარი.

**ლოძი**. ლოძის მახლობლად სოფ. რაგოდოშში მეახალშენეს სახლ-კარს თავს დაესხნენ შეიარაღებული კაცები, გაიტაცეს 75 მანეთი. მეახალშენე და მისი სტუმარი მინდორში გაიყვანეს და ორივე მძიმედ დასჭრეს.

**პეტერბურგი**. ბორის ნიკიტენკო, ბორის სინიავსკი და ვლადიმირ ნაუმოვი, რომელთაც შეთქმულობაში მონაწილეობა ბრალდებოდათ, 21 აგვისტოს ჩამოახრჩეს.

**იაროსლავლი**. 20 აგვისტოს იაროსლავლის რკინის გზის სადგურის სადგომში ვოლოგოდის რკინის გზის ჟანდარმთა გამგეობის უფროსმა კონონოვმა, ჩხუბის დროს, ინჟენერს კოკულანს რევოლვერი ესროლა და იქვე მოჰკლა.

**რიგა**. შმიდტის ცემენტის ქარხანაში ცეცხლმა გაანადგურა 6 ცემენტის ფეჩი, სარაია და რამდენიმე საშრობი სახლი. ზარალი 300,000 მანეთია.

ქალაქ გარედ მიმავალ კრასინის სადებავ წამლების ქარხნის კასირს თავს დაესხა 4 შეიარაღებული კაცი. წაიღეს 1000 მანეთი

### უცხოეთი

22 აგვისტო.

**სან-ფრანცისკო**. ბირნელოში შავი ჭირი გაჩნდა.

**იოკაჰამა**. ნიუ-ჩზანდიდან მოსულ გემზე მოკვდა ხოლერით ერთი მგზავური. სანამ მის ავადმყოფობას გაიგებდნენ, მგზავრები უკვე ნაპირზე იყვნენ.

**სან-ფრანცისკო**. პროფესიონალურმა კავშირებმა მანიფესტაცია გამართეს და ტრამვაის ვაგონს დაეცნენ. მოსამსახურეებმა სროლა ასტეხეს და ორი კაცი დასჭრეს.

**ვენა**. დაიწყო გარჩევა რუსინთა სტუდენტების საქმისა. ბრალდებულთ ჩვენება ჩამოართვეს- ბრალდებულნი აცხადებენ, რომ ოქმი ყალბად არის შედგენილი, რადგან მისსა ავტორმა რუსული ენა არ იცოდაო.

**ანტვერპენი**. დილით შეტაკება მოხდა გაფიცულთა და ფლამანდიელ მუშათა შორის, რომელნიც სამუშაოდ მიდიოდნენ.

**პარიჟი**. ადმირალი ფილიბერი იუწყება, რომ კაზანპლანკიდან წამოსული პწვერავი რაზმი შეხვდა არაბთა რაზმს, რომელიც უკუაქცია.

**სტამბოლი**. სენატის კრებაზე პატრიარქმა იაკიმემ განაცხადა: რადგან ოსმალეთის მთავრობა ხელს გვიშლის და რადგან ჩვენს თხოვნას შესახებ პატრიარქატის დაცვისა უცხო სახელმწიფოებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, იძულებული ვარ სამსახურს თავი დავანებოო. პოლიციამ გაჩხრიკა ტრამის პატრიარქის ბინა და წაართვა წერილები.

**პრეტორია**. აღლუმის დროს აჯანყდა საპიორთა რაზმი, მიზეზი ის არის, რომ ერთი აფიცერი ამათ მეტის მეტად უდიერად მოექცა. აჯანყებულნი მეორე პოლკის თანხლებით პრეტორიაში ჩამ იყვანეს.

---

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

---


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ჩ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველიჩიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქ. ი. გმელიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი**: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—136)

---

ახალი შევსებული გამოცემანი.

**დედა-ენა**, ნაწილი მეორე, ახალი ოცდა მეორე გამოცემა შევსებული **სამი ახალი განყოფილებით**, იპყრობს 280 გვერდსა და ღირს ყდიანად ისევ ორი აბაზი. ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

**Русское Слово**, ახალი, მეთხუთმეტე გამოცემა, შიგ ჩართული, ნაცვლად ირიბულის ხელისა, პირდაპირი რუსული ხელი, რომელსაც თვით განათლების სამინისტრომ უპირატესობა მიანიჭა და რომელიც სწრაფად შემოღებულ იქმნა რუსეთის ბევრს სკოლებში. ისყიდება გრიქუროვის და წერა-კითხვის მაღაზიებში... (4—3)

---



მანეთ ნახევარი

**დომში**

**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს**, რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მაწრაფლ სახვევ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელაოვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უხწორდებით. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100—210—14)

---

**გამოცდილი მასწავლებელი** ღებულობს საშუალო სასწავლებელთა უმცროს კლასებისთვის მოსამზადებელს ქალებსა და ვაჟებს. აქვე შეიძლება მოწაფეთა სრულს ხარჯზე მიღება და მათთან სალამოობით მეცადინეობა. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, ნაშუადღევის 4—8 საათამდე.

ადრესი: ყიფიანის ქუჩა, სახლი № 25 მეორე სართულში, შესავალი ეზოდან. (4—258—1)

---

**საბუხჰალტერო კურსები**

ივანე ზაქ.-ძის ტერ-სტეფანოვისა,

რომელმაც გაათავა უმაღლესი საკომერციო კურსები, ორივე სქესისთვის. კურსი ღირს 45 მანეთი.

მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან, სწავლა 10 სექტემბრიდან- კუკია, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთარი სახლი, №13 (2—251—2)

---

**სკოლა**

დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.

ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდამ. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8—251—2)

---

## ✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

**უმაღლესი ჯილდო**

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ

„რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“,

რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს. რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭე ს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა. რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა‘

**ტფილისში**,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—53)

---

სასწრაფოდ დაკლებული ფასებით

# პ. ს. დოროქნოვის

მთავარ საწყობში გაიმართება

# იაფი ვაჭრობა

ვაჭრობა გაგრძელდება

## ცხრა დღეს

ესე იგი 23, 24, 25, 27, 28, 29, 30, 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს.

ყველა სპეციალურ განყოფილებაში

**გაიყიდება აუარებელი საქონელი**

**გასაოცარს იაფი ფასებით**

მაუდის საქონელი, შალის საქონელი მოდისა, განსაკუთრებული საქონელი საცვლებისთვის,

ჩითის ფერადი საქონელი და ბამბაზია, დამზადებული საცვალი კაცისა და ქალისა,

სუფრის ტილოს თეთრეული, ჩულქები და ნასკები.

**განსაკუთრებით იაფია მებელის საქონელი:**

პორტიერები, ტიული გარდინისა და ხალიჩები.

იაფ ვაჭრობის დღეებში მაღაზია სავაჭროდ ღია იქნება დილით 9 დან 1½ საათამდე ნაშუადღევის 3½-დან საღამოს 5½ საათამდე. (1—162—1)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.